საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №62

2023 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 20^1 მუხლის მე-2 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 3 აპრილის №18 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04/04/2017, სარეგისტრაციო კოდი: 290160000.60.072.016026) დამტკიცებულ „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ინსტრუქციაში“ (შემდგომ – ინსტრუქცია) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მზღვეველის მიმართ დაადგინოს, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის (მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ ანგარიშგების/სხვა დოკუმენტების) სამსახურში წარდგენის განსხვავებული პერიოდულობა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო ზედამხედველობის **დავით ონოფრიშვილი**
სამსახურის უფროსი